

## ტრენინგების სისტემა და კონცეფცია

შემუშავებულია 2022 წლის 1 ოქტომბერს გასამართი საკრებულოს შუალედური არჩევნებისთვის

საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა ტრენინგები
<b>I ეტაპის ტრენინგი</b>
<p><b>სამიზნე ჯგუფი:</b> საუბნო საარჩევნო კომისიის სრული შემადგენლობა (17 წევრი)</p> <p><b>ხანგრძლივობა:</b> 1.00 საათი</p> <p><b>პერიოდი:</b> 31 აგვისტო</p> <p><b>ძირითადი თემატიკა:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>▪ დემოკრატიული არჩევნების ჩატარების ძირითადი პრინციპები და მათ უზრუნველსაყოფად საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა როლის მნიშვნელობა, მანდატი ეთიკური და სამართლებრივი ჩარჩოს ფარგლებში</li> <li>▪ საუბნო საარჩევნო კომისიის სამუშაო რეჟიმი, რეგლამენტით განსაზღვრული უფლებამოსილებები და დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძვლები</li> <li>▪ საოლქო საარჩევნო კომისიებთან საუბნო საარჩევნო კომისიების საქმიანობის კოორდინაცია/კომუნიკაცია (მათ შორის, საორგანიზაციო-ლოჯისტიკურ საკითხებზე)</li> <li>▪ საუბნო საარჩევნო კომისიის საქმიანობა კენჭისყრის დღემდე პერიოდში (მათ შორის, გადასატანი საარჩევნო ყუთის სიის ფორმირებასთან დაკავშირებული საკითხები, ასევე ადაპტირებული საარჩევნო უბნის სპეციალურ სიაში ამომრჩეველთა შეყვანის საკითხი)</li> </ul>
<b>II ეტაპის ტრენინგი</b>
<p><b>სამიზნე ჯგუფი:</b> საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი პირები (თავმჯდომარე, მოადგილე, მდივანი)</p> <p><b>ხანგრძლივობა:</b> 4.00 საათი</p> <p><b>პერიოდი:</b> 19 სექტემბერი</p> <p><b>ძირითადი თემატიკა:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>▪ კენჭისყრის დღისთვის მისაღები საარჩევნო დოკუმენტაცია/ინვენტარი; კენჭისყრის ოთახის მოწყობა</li> <li>▪ საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი პირების საორგანიზაციო/საზედამხებელო ფუნქციები: საარჩევნო უბნის გახსნის პროცესში, კენჭისყრის პროცესში, საარჩევნო უბნის დახურვის პროცესში, დათვლა-შეჯამების პროცესში (მოიცავს საარჩევნო უბნის გახსნის, კენჭისყრის მიმდინარეობის და საარჩევნო უბნის დახურვის პროცესში გათვალისწინებული ტექნოლოგიების გამოყენების პრაქტიკაზე მუშაობას)</li> <li>▪ კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმების შედგენის ტექნიკა და შემაჯამებელი ოქმის საჯაროობა</li> <li>▪ ამომრჩეველთა პერსონალური მონაცემების დაცვა; კენჭისყრის დღეს კენჭისყრის შენობაში მოქმედი ფოტო-ვიდეოგადაღების რეგულაციები</li> </ul>
<b>III ეტაპის ტრენინგი</b>
<p><b>სამიზნე ჯგუფი:</b> საუბნო საარჩევნო კომისიის სრული შემადგენლობა (16 წევრი, გარდა კომისიის მდივნისა)</p> <p><b>ხანგრძლივობა:</b> 2.30 საათი</p> <p><b>პერიოდი:</b> 23-24 სექტემბერი</p> <p><b>ძირითადი თემატიკა:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>▪ კომისიის წევრთა ფუნქციები საარჩევნო უბნის გახსნის პროცესში</li> <li>▪ ხმის მიცემის პროცესში წილისყრით მინიჭებული ფუნქციების შესრულება (მათ შორის ამომრჩეველთა პერსონალური მონაცემების დაცვასთან დაკავშირებული რეგულაციების დაცვა)</li> <li>▪ საარჩევნო უბნის დახურვა და საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა ფუნქციების ხმების დათვლის პროცესში, მათ შორის, აუდიო-ვიდეო ფიქსაციასთან დაკავშირებული ვალდებულებები</li> <li>▪ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა ფუნქცია შემაჯამებელი ოქმის შედგენის პროცესში</li> </ul> <p><b>პრაქტიკული სწავლება:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>▪ საარჩევნო ყუთის დალუქვა, ხმების ელექტრონული მთვლეელი აპარატის და ამომრჩეველთა ვერიფიკაციის აპარატის ჩართვა - მზადება კენჭისყრის პროცესის დაწყებისთვის</li> </ul>

- ხმის მიცემის ეკიზოდური ინსცენირება
- რეგისტრატორების მიერ მონაცემთა დათვლა და სისწორის კონტროლის მექანიზმი
- ვერიფიკაციის აპარატში ვერიფიკაციის პროცესის დასრულება, საბოლოო ანგარიშის ბეჭდვა
- ხმების ელექტრონული მთვლელი აპარატის მიერ დათვლილი წინასწარი მონაცემების საფუძველზე აპარატიდან/აპარატებიდან წინასწარი შედეგების შესახებ ამონაწერის/ამონაწერების ამობეჭდვა, აპარატის ფუნქციონირების დასრულება
- საარჩევნო ბიულეტენის დახარისხება/დათვლა და ბათილი საარჩევნო ბიულეტენების დალუქვა (დალუქვის ტექნიკის სწავლება)

## VI ეტაპის ტრენინგი

**სამიზნე ჯგუფი:** საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე/მოადგილე/მდივანი

**ხანგრძლივობა:** 2.00 საათი

**პერიოდი:** 26 სექტემბერი

**ძირითადი თემატიკა:**

- კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმების შედგენის ტექნიკა
- კენჭისყრის დღის განცხადებები/საჩივრები
- მედიარეგულაციები, მათ შორის, მედიასთან ურთიერთობის სტანდარტები
- არჩევნების უსაფრთხოება

**პრაქტიკული სწავლება:**

ამომრჩეველთა ვერიფიკაციისა და ხმის ელექტრონული მთვლელი აპარატებთან მუშაობა